ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01203241867**
თარიღი: **19/11/2020**
პინი: **3554**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,სამსახური“) განიხილა თქვენი 2020 წლის 12 ნოემბრის #60-01203172272 წერილი და თანდართული დოკუმენტაცია (გამწვანების პროექტი), რომლითაც ითხოვთ მოქალაქე თამარ ქურთაულის განაცხადის (AR1786571) საფუძველზე, შპს ,,რ.ს.ე.დ“ (საიდენტიფიკაციო N406257633) საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ქალაქი თბილისი, აეროპორტის დასახლება; ს.კ.: 01.19.26.004.277)(სპეცზ-1) IV კლასის ობიექტის (საწყობი) განთავსების მიზნით, არქიტექტურული პროექტის დამტკიცების ეტაპზე, გამწვანების პროექტთან დაკავშირებით, სამსახურის პოზიციას.

გამწვანებული სივრცის მოსაწყობად დასარგავად შემოთავაზებული 250 ძირი დასარგავი ნერგი (38 ძირი ცხენისწაბლი, 31 ჩვ. იფანი, 181 ძირი ნანა ტუიას ბუჩქი) და ტერიტორიაზე არსებული ჯანსაღი 3 ძირი თუთა (მათ შორის -2 ძირი თუთის ხე, იმავე ტერიტორიაზე გადასარგავი), 2 ძირი ამორფას ბუჩქი, 1 ძირი ამერიკული ნეკერჩხალი, 1 ძირი ჩვ. იფანი სრულად ითვისებს კ3 გამწვანების კოეფიციენტის მინიმალურ ფართობს (**3000** კვ. მეტრი). გასამწვანებლად შემოთავაზებული მცენარეები (სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) შერჩეულია კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით. **ამდენად, სამსახური თანახმაა არსებული სახით დამტკიცდეს გამწვანების პროექტი.**

აქვე ინფორმაციის სახით მოგახსენებთ, რომ განმცხადებელმა გამწვანების პროექტში დასარგავად არანაკლებ 20 სმ-ის გარშემოწერილობის მქონე მცენარეები უნდა გაითვალისწინოს, ხოლო, ფოთლოვანი ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3.5 მეტრი,

ასევე გაცნობებთ, რომ გამწვანების საინფორმაციო დაფის ესკიზზე უნდა მიეთითოს მხოლოდ იმ მოსაჭრელი/გადასარგავი ხეების რაოდენობა და სახეობა, რომლებიც 2020 წლის 13 აგვისტოს სამსახურის წერილით **N18-01202262590** განესაზღვრა დაინტერესებულ პირს. შესაბამისად, ბანერის ეს ნაწილი დასაკორექტირებელია განმცხადებლის მიერ.

ნებართვის გაცემიდან 10 დღის ვადაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია მოსალოდნელი მშენებლობის საინფორმაციო დაფის გვერდით განათავსოს ზემოაღნიშნული გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტების და პარამეტრების ამსახველი ინფორმაცია.

საინფორმაციო დაფაზე გამწვანების პროექტი ვიზუალურად უნდა გამოისახოს მაკეტის ან/და ფოტომონტაჟის სახით. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტი უნდა იყოს A2 ზომის ფორმატის შესაბამისი. საინფორმაციო დაფა უნდა შენარჩუნდეს სამშენებლო სამუშაოების წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ.

აქვე დავძენთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოყენებული იქნება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისათვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი (21-ე მუხლის 5^1-ე პუნქტი).

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)



გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი